ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო ფრონტი

თბილისის რეგიონული სახალხო ფრონტი-აღმაშენებელი

№ 1. ● 26 ივნისი, 1990 წ.


## როგორ ვხვდებით საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობას!?

დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ერი და ბერი დაინტერესებულია, თუ როგორ განვითარდება ჩვენი ეროვნული მოძრაობა, როგორ აუვლის გვერდს იმ წყალქვეშა რიფებს, რაც მას ელობება, აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობების მიერ არჩეულ გზების გაანალიზება-გააზრებას.

საქართველოს სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა.

რა გააკეთა სახალხო ფრონტმა ამ ხნის განმავლობაში?

რა ვერ გააკეთა და რის გაკეთება შეეძლო?

როგორია მისი პერსპექტივები?

რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ეფექტიანად მუშაობდეს მისი ყველა რგოლი?

როგორ ვხვდებით საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობას, რომელიც 27 ივნისს იხსნება?

აი, არასრული სია იმ საკითხებისა, რომლებსაც ეხებიან ჩვენი ავტორები თავიანთ წერილებში.

სტატიათა უმრავლესობაში, რომელთა ავტორებს მსგავსი კრიტიკული შენიშვნები და სახალხო ფრონტის განვითარების მსგავსი გეგმები აქვთ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც სახალხო ფრონტის გარკვეული ნაწილის ერთობლივი პოზიციის გამომხატველია. გაზეთში გამოქვეყნებული წერილები ამ თვალსაზრისითაცაა საინტერესო.

# ჩვენი ფრონტის ერთი წლის გაკვეთილები



თითქმის ერთი წელი გავიდა ჩვენი ფრონტის დამფუძნებელი ყრილობიდან. მალე ჩატარდება მეორე ყრილობა. როგორ წარვსდგებით მის წინაშე? ალბათ არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ — დემორალიზებულნი, თავგზააბნეულნი. ერთი წელი ალბათ საკმარისი უნდა იყოს, გადავხედოთ ჩვენს ერთ წლიან წარსულს, გავაანალიზოთ იგი. მოვიგონოთ წინა საყრილობო თვეები, როგორი ენთუზიაზმი სუფევდა მაშინ ფრონტის თაობაზე, გვჯეროდა ჩვენც და მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენებსაც. მაგრამ ეს მოლოდინი, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლდა. მავანთა და მავანთ უხარიათ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტმა ვერ გაამართლა, რომ ფაქტობრივად ჩაიშალა უზენაესი საბჭოს არჩევნები. რა უხარიათ? გავიხსენოთ როგორი მძლავრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნეს პოლონელებმა „სოლიდარობის“ სახით, ლიტველებმა, ესტონელებმა და ლატვიელებმა „საიუდისის“ და სახალხო ფრონტების სახით. გვაჯობა აზერბაიჯანისა და მოლდავეთის სახალხო ფრონტებმა. აშკარად გვჯობნის უკრაინის „რუხი“. მალე გვაჯობებენ უზბეკები და ყირგიზები. რა დაგვემართა? რაში უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზები? თავი და თავი მდგომარეობს ჩვენს ეროვნულ ხასიათში. ქართველობის გაერთიანება, როგორც კვლავ ვრწმუნდებით, შეუძლებელია. ჩვენში ბელადობის უამრავი პრეტენდენტია. ყველა მათგანი თავის გარშემო იკრებს ნაცნობთა ვიწრო წრეს. თითოეულ ამ „ბელადს“ და მის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს სურს თავი ცენტრად წარმოიდგინოს, რის გარშემოც იტრიალებს საქართველო, იქნებ დანარჩენი მსოფლიოც. „უჩემოდ ვინ იმღერეთა“-ს განწყობილება მშვენივრად გამოჩნდა არჩევნების ჩაშლითაც. არსებობს ეროვნული განთავისუფლების ორი უტყუარი გზა: ერთი შეიარაღებული აჯანყების გზით, რაც ჩვენისთანა მცირე ერისთვის დამღუპველია და, მადლობა ღმერთს, ჩვენი რადიკალებიც კი მიუღებლად თვლიან ამ გზას. მეორე გზაა ვუცადოთ საბჭოთა იმპერიის დანგრევას, რის შემდეგაც თავს დამოუკიდებლად გამოვაცხადებთ. კერძოდ ასე მოხდა 1918 წლის 26 მაისს. ყველაზე მისაღები გზა გახლავთ საპარლამენტო ბრძოლის გზა, რომელიც შევსებული უნდა იყოს რადიკალური „პოზიციით“, ისე, რომ ეროვნული მოძრაობის ამ ორ ფრთას შორის თანამშრომლობას უნდა ჰქონდეს ადგილი და არა მძაფრ კონფრონტაციას და ურთიერთ სიძულვილს, როგორც ეს ჩვენში შეინიშნება. რადიკალურმა ოპოზიციამ იგრძნო, რომ პარლამენტური ბრძოლის გზით და ამ გზაზე წარმატებით დიდად იწევდა საქართველოს სახალხო ფრონტის ავტორიტეტი და ყველანაირად, მთელი ძალისხმევით შეეცადა აღნიშნული გზის ჩიხში მოქცევას. სწორედ ამ მიზანს ისახავდა 13—15 მარტს გამართული ეროვნული ფორუმი. მანამდეც, ჯერ კიდევ გასული წლის აპრილ-მაისში სსფ-ის პირველადი ორგანიზაციების დაფუძნებისას რადიკალური ოპოზიცია ცდილობდა ფრონტის დისკრედიტაციას და პირველადი უჯრედების დაშლას. მსგავსი მცდელობის საზრისიც ნათელია: გრძნობდნენ, რომ სსფ-ის გაძლიერებით შესუსტდებოდა მათი ძალა და გავლენა საზოგადოებაზე.

საერთოდ შეიძლებოდა ნორმალური თანაარსებობა ცენტრისტულ, ზომიერ და რადიკალურ ოპოზიციას შორის. საზოგადოებაში უნდა იყოს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. მაგრამ რადიკალებმა წარმოიდგინეს, რომ „ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას“ მხოლოდ ისინი განასახიერებენ, ისინი არიან ეროვნული მოძრაობის არისტოკრატები, დანარჩენი კი უკეთეს შემთხვევაში — პლებეები. ერთი სიტყვით, ზომიერ და რადიკალურ ფრთებს შორის ნორმალური თანაარსებობა გამოირიცხა. თუ ეს მოხდა, მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, საქართველოში მსგავსი რამ ვერ მოხერხდა. აღნიშნული სახის თანაარსებობა გამოირიცხა თვით სსფ-ის შიგნით. განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა როგორც რიგით წევრებს, ისე გამგეობის წევრთა შორის ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა ჩვენი ფრონტის სისუსტისა.

თქმა არ უნდა, რომ ერთი წლის მანძილზე წარმოიშვა მთელი რიგი ობიექტური ხასიათის სიძნელეებისა, ეთნოკონფლიქტების სახით, რაც იწვევდა სსფ-ის ყურადღების გადატანას ორგანიზაციული საკითხების მოგვარებიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა, დრო მაინც ბევრი იყო, რათა მხოლოდ რეაგირებებს არ დავჯერებოდით. ეს შანსი ჩვენ, მთელმა სსფ-მა, უპირველესად გამგეობამ, ვერ გამოიყენა. რატომღაც გვეგონა, რომ სსფ-ის სტრუქტურა, ორგანიზაცია თავისთავად, სტიქიური თვითდინებით ჩამოყალიბდებოდა. ასეთი მოლოდინი არ გამართლდა. თითქოს არავითარი სოლომონისეული სიბრძნე არ იყო საჭირო იმის დასანახად და გასააზრებლად, რომ ფრონტის ორგანიზაცია უნდა გაძლიერებულიყო მმართველი, ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით. ეს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: ფრონტის ამორფულობა და ის გარემოებაც, რომ თუ თავდაპირველად ყრილობის დროს და მომდევნო ხანაში სსფ-ის წევრთა რაოდენობა 60—70 ათასს აღწევდა, ამჟამად იგი 30 ათასს თუ აღწევს. სსფ-ის ორგანიზაცია უნდა გაძლიერებულიყო სათანადო იდეოლოგიით, პროპაგანდა-აგიტაციით. ესეც ვერ მოვახერხეთ. ამ შემთხვევაშიც ვიგულისხმეთ, რომ ყველაფერი თავისით მოვიდოდა. ჯერ კიდევ პირველ ყრილობამდე ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გააჩაღეს კამპანია, რომ სახალხო ფრონტებმა ჩიხში შეიყვანეს, დაღუპეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ამაზე რეაგირება (იდეოლოგიური) ჩვენ არ მოგვიხდენია. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დიდი „შესაშური“ ენერგია დახარჯეს სსფ-ის ლანძღვა-გინებისათვის, შეგვარქვეს „ცეკას კოოპერატივი“. ამაზედაც ვდუმდით, დღემდე ვდუმვართ. რასაკვირველია, ამგვარმა პასიურობამაც განაპირობა ფრონტის ჩიხში მოქცევა. როცა მომავლის ისტორიკოსი შეცდება ამ ხნის მანძილზე სსფ-ის ისტორიის გაანალიზებას, იგი გაოცებული დარჩება ჩვენი ორგანიზაციის პასიურობით ამ მიმართულებითაც.

სსფ-მა ვერ გამოკვეთა თავისი იერ-სახე, იგი ადგა პასიური ლოდინის პოლიტიკას. კერძოდ, მან ვერ გამოკვეთა თავისი პოზიცია რადიკალური ძალების მიმართ. ამჟამადაც, როცა, როგორც, ცნობილია, ე. წ. არაფორმალები ორ ნაწილად გაიყვნენ, სსფ-ს არ გამოუხატავს თავისი პოზიცია ამ ჯგუფების მიმართ. ესეც, რა თქმა უნდა, ფრონტის წევრების დემორალიზაციას აძლიერებს, ასევე საზოგადოებაში ფრონტის ავტორიტეტის დაცემას.

პირველ ყრილობას დაემართა უდიდესი შეცდომა, როცა უარყო სათათბიროს იდეა, თუმცა წესდების თავდაპირველ ვარიანტში იგი გათვალისწინებული იყო. სათათბირო უნდა ყოფილიყო ხერხემალი, რომელიც ჩვენს ორგანიზმს ფეხზე დააყენებდა. ამავე წესდების მიხედვით გამგეობის წევრთა რაოდენობა 15-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ კი 33 ავირჩიეთ. თავი დავანებოთ რაოდენობრივ მხარეს და გავაცნობიეროთ თვისობრივი, ხარისხობრივი მხარე. აღმოჩნდა, რომ არჩეული გამგეობის წევრთა უმრავლესობა გულგრილი დარჩა სსფ-ის ბედ-იღბლისადმი. იგი, როგორც წესი, სისტემატურად აცდენდა გამგეობის სხდომებს. მით უფრო რას გააკეთებდნენ პერიფერიებიდან არჩეული გამგეობის წევრები.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ გამგეობის უბედურების ერთ მიზეზსაც. სხდომები იმართებოდა ღია წესით, ფართო აუდიტორიის წინაშე. სინამდვილეში ამას ადგილი უნდა ჰქონოდა ზოგჯერ, უმეტეს შემთხვევაში კი სხდომები უნდა ჩატარებულიყო დახურული წესით, როცა განსჯაც სერიოზული იქნებოდა და თანაც გავიცნობდით გამგეობის თითოეული წევრის საერთო პოზიციას, შეხედულებას ცალკეულ საკითხზე. სხდომის წარმმართველი კი აუდიტორია იყო ხოლმე, ისინი სვამდნენ უამრავ საკითხებს, ჩვენ კი ვუსმენდით, ზოგჯერ ხელს ავუწევდით, მაგრამ საქმე არ გამოდიოდა. ერთი ხანობა გვეგონა, რომ გამგეობის ღია სხდომებს ესწრებოდა სსფ-ს აქტივი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ავსებდა შემთხვევითი ხალხი, ხშირად ისინი, ვისაც სსფ გულზე არ ეხატებოდათ.

სსფ-ს გაზეთს დიდი როლი უნდა ეთამაშა ჩვენი ორგანიზაციის გაძლიერებაში. შესაბამისი უნდა ყოფილიყო „საქართველოს“ თემატიკა. სამწუხაროდ, „ჩვენი“ გაზეთი ჩვენი არ აღმოჩნდა, იგი უფრო სხვა დაჯგუფებების ინტერესებს გამოხატავდა. სსფ კი გულხელდაკრეფილი უყურებდა, თუ როგორ გამოგვეცალა ხელიდან საკუთარი ორგანო. რა უნდა ითქვას იმ ორგანიზაციაზე, რომელსაც მსგავსი რამ დაემართება? პასუხი მკითხველისთვის მიგვინდვია.

შეცდომები იქნა დაშვებული სსფ-ის თავმჯდომარის მხრიდანაც. საჭირო იყო მეტი კოლექტიურობა, დემოკრატიზმი გამგეობის წევრთა მიმართ, უნარი აემუშავებინა გამგეობა, სსფ საერთოდ, მათში ენთუზიაზმის ჩანერგვა. სსფ-ს უნდა გამოეკვეთა პოზიცია მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ე. წ. არაფორმალურ დაჯგუფებათა მიმართ. თავმჯდომარეს უნდა გამოეჩინა მეტი თანამიმდევრულობა ამოცანების დასახვასა და შესრულებაში. დასასრულს მას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა იმ ადამიანების შერჩევაში, რომლებიც გარშემო, ყველაზე ახლოს შემოიკრიბა.

შეიძლებოდა სსფ-ის ერთწლიანი ისტორიის გაკვეთილებზე მეტი ჯგულაპარაკა, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლებით. იმედია დანარჩენი ითქმება მოახლოვებულ ყრილობაზე. ზემოთქმულიდან გამომ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახალხო ფრონტის წესდება

## (პროექტი)

საქართველოს სახალხო ფრონტის მოქმედ წესდებაში საჭიროა ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა, როგორც სსფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწისა და სრულყოფის, ასევე მისი ტექსტის იურიდიული გამართულობის თვალსაზრისით. წესდებაში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული როგორც სსფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე მის რგოლებს შორის ურთიერთობის მექანიზმი და მათი უფლებამოსილებანი. სსფ-ის შემოთავაზებულ წესდების პროექტში, რომელიც მომზადებულია თბილისის რეგიონული სახალხო ფრონტის აღმაშენებლის გამგეობის მიერ გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული მომენტები. წესდების პროექტი განხილულ იქნა სახალხო ფრონტის თბილისის დარბაზის მიერ 19 აპრილს მოწვეულ კონფერენცია-შეხვედრაზე, ასევე 19 მაისის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონული ფრონტების წარმომადგენლებმა.

თბილისის რეგიონული ფრონტის აღმაშენებლის გამგეობამ გაითვალისწინა სსფ-ის წესდებაში ცვლილებებისა და შესწორებების ვარიანტები, რომლებიც შემოთავაზებული იყო 19 აპრილისა და 19 მაისის შეხვედრებზე და ქვემოთ მოცემული სსფ-ის წესდების პროექტის სახით სთავაზობს საქართველოს სახალხო ფრონტის მე-2 ყრილობას.

### ძირითადი დებულებები

საქართველოს სახალხო ფრონტი (სსფ), არის სახალხო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოქალაქეს გამოიჩინოს საზოგადოებრივი ინიციატივა, ღიად და უშიშრად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისადმი, რეალური გავლენა მოახდინოს თავისი სამშობლოს ბედ-იღბალზე.

სსფ იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამასთანავე მიზნად ისახავს საქართველოში პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სისტემების დემოკრატიზაციას, პიროვნების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობის პრინციპის ყოველმხრივ საყოველთაო დაცვას და საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესაბამის პრინციპებზე დაფუძნებას.

წარმართავს რა თავის მოღვაწეობას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სსფ ზრუნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ-სამართლებრივ ნორმებთან, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

სსფ არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

### სსფ მონაწილენი

სსფ მონაწილე შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას, იბრძვის მისი აღდგენისათვის, ეთანხმება სსფ პროგრამას, ემორჩილება მის წესდებას, მონაწილეობს მის საქმიანობაში და გაერთიანდება სსფ რომელიმე ჯგუფში, ან თვითონ შექმნის მას.

სსფ-ის მონაწილე
უფლებამოსილია:

— ჰქონდეს სსფ მონაწილის დამადასტურებელი მოწმობა;
— მონაწილეობა მიიღოს სსფ სტრუქტურების საქმიანობაში;
— გავიდეს სსფ რიგებიდან.

სსფ-ის მონაწილე
ვალდებულია:

— დაიცვას სსფ წესდება;
— შეასრულოს სსფ-ის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი;
— მონაწილეობა მიიღოს სსფ-ის ღონისძიებებში და აქციებში, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მონაწილეებს, არ მიატოვოს გასაჭირში თანამოძმეები;
— შეასრულოს კონკრეტული დავალებები.

სსფ-ის მონაწილეს არა აქვს უფლება ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გაცემული უფლებამოსილების გარეშე ილაპარაკოს და წეროს სსფ-ის სახელით, მონაწილეობა მიიღოს პარტიულ ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, გამოვიდეს რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებით სსფ საქმიანობის შესახებ.

თუ სსფ მონაწილე უხეშად არღვევს სსფ-ს წესდებას ან სახელს უტეხს სსფ მონაწილეს წოდებას ჯგუფის გადაწყვეტილებით მას შეიძლება ჩამოერთვას სსფ მონაწილის უფლება.

სსფ-ში მუდმივი კოლექტიურ მონაწილეთა უფლებით შეიძლება გაერთიანდნენ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სხვა სახის ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

სსფ კოლექტიური მონაწილე ორგანიზაციულად დამოუკიდებელია სახალხო ფრონტისაგან და თვითონ წარმართავს თავის ძირითად საქმიანობას. მისი უფლებრივი მდგომარეობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულებით.

### სსფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა

#### 1. სსფ-ის ჯგუფები

სსფ ჯგუფები იქმნება რეგიონული სახალხო ფრონტების გამგეობების მიერ ტერიტორიული, უწყებრივი, ან თანამოაზრეობის (პარტიულობის) პრინციპით და მოქმედებენ სსფ წესდების საფუძველზე. იგი შექმნილად ითვლება, თუ მასში გაერთიანდება არანაკლებ სამი მოქალაქისა.

სსფ ჯგუფი თვითონ განსაზღვრავს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას. სსფ ჯგუფი საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შედის რეგიონულ სახალხო ფრონტში.

სსფ ჯგუფს აქვს თავისი სახსრები. მას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სიმბოლიკა.

სსფ ჯგუფის არსებობა შეიძლება შეწყდეს ჯგუფის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ან სსფ რეგიონული გამგეობის დადგენილებით, თუ იგი არ ასრულებს სსფ წესდებას და თავისი საქმიანობით ხელს არ უწყობს სსფ პროგრამითა და წესდებით გამოცხადებული მიზნების მიღწევას. გამგეობის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სსფ ეროვნულ საბჭოში.

#### 2. რეგიონული (უწყებრივი) სახალხო ფრონტი

რეგიონული (უწყებრივი) სახალხო ფრონტი (რსფ) არის სსფ შემავალი ავტონომიური ორგანიზაცია და მოწოდებულია ცხოვრებაში განახორციელოს სსფ პროგრამით დასახული ამოცანები. რეგიონული (უწყებრივი) სახალხო ფრონტი სსფ-ის ჯგუფების, საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. მას აქვს საკუთარი წესდება, სამოქმედო პროგრამა და სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

რსფ-ის საქმიანობის რეგლამენტაცია და სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი წესდებით. რსფ-ის უმაღლესი ორგანოა რეგიონულ ფრონტში შემავალი სსფ ჯგუფების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც ამტკიცებს წესდებას, სამოქმედო პროგრამას, ირჩევს რეგიონული სახალხო ფრონტის ხელმძღვანელ ორგანოებს (გამგეობას, სარევიზიო კომისიას). კონფერენციის კომპეტენციაში შედის სსფ-ის ყრილობაზე გასატანი წინადადებების, სსფ-ის წესდებისა და პროგრამის შესწორებების განხილვა და დამტკიცება, სსფ-ის ყრილობის დელეგატების არჩევა.

კონფერენციები ტარდება არანაკლებ ორჯერ წელიწადში (გაზაფხულზე და შემოდგომით).

რსფ-ის ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემაში შედის რსფ-ში შემავალი სსფ-ის ჯგუფების რწმუნებულთა საბჭო. მისი ძირითადი ამოცანაა კონტროლი გაუწიოს რსფ-ის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მოახდინოს სხვადასხვა ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია, დაეხმაროს სსფ-ის ჯგუფებს მათ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში. რწმუნებულთა საბჭო ამავე დროს არის მომრიგებელი ორგანო, რომელიც განიხილავს სსფ-ის ჯგუფებს შორის წამოჭრილ სადავო საკითხებს.

#### 3. სსფ-ის მმართველობის ცენტრალური ორგანოები

##### I. სსფ-ის ყრილობა

სსფ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობა, რომელიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ. იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3.

სსფ ყრილობა ამტკიცებს საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამასა და წესდებას, შეაქვს მათში ცვლილებები, განსაზღვრავს სსფ საქმიანობის მთავარ მიმართულებებს, წყვეტს სსფ-თან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სსფ ყრილობა ღებულობს გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, მიმართვებს, მემორანდუმებს, ქარტიებს. მათი შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ ყრილობას.

ყრილობა ორი წლის ვადით ირჩევს სსფ ეროვნული საბჭოს დელეგატთა პალატას 100 წევრის შემადგენლობით. დელეგატთა პალატაში კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ სსფ კოლექტიურ წევრებს, რეგიონულ (უწყებრივ) ფრონტებს.

ყრილობა განიხილავს და ამტკიცებს სსფ ეროვნული საბჭოს ანგარიშს, აფასებს სახალხო ფრონტის სტრუქტურების საქმიანობას.

ყრილობის სხდომებს თავმჯდომარეობს ყრილობის მიერ არჩეული თავმჯდომარე. ყრილობის მუშაობის რეგლამენტს ამტკიცებს თვით ყრილობა.

##### II. სსფ-ის ეროვნული საბჭო

სსფ საქმიანობას ყრილობათა შორის პერიოდში ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს სსფ ეროვნული საბჭო, რომელიც შედგება ორი პალატისაგან: თავმჯდომარეთა საბჭოსაგან და დელეგატთა პალატისაგან.

თავმჯდომარეთა საბჭოს ქმნიან რეგიონული (უწყებრივი) ფრონტების თავმჯდომარეები.

ეროვნული საბჭოს ორივე პალატა თანასწორუფლებიანია.

ეროვნული საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს როგორც საკრებულო. მისი პალატების სხდომები იმართება ცალცალკე ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ერთობლივი სხდომები ტარდება ყოველი მესამე თვის ბოლო პარასკევს.

ეროვნული საბჭო ერთობლივ სხდომებზე:

— ირჩევს სსფ ეროვნული საბჭოს გამგეობას და სარევიზიო კომისიას ერთი წლის ვადით. მასვე შეუძლია გამოიწვიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრი ვადამდე;
— აარსებს სსფ გაზეთს და ამტკიცებს მის რედაქტორს;
— განსაზღვრავს სსფ ბიუჯეტს, მისი შემოსავლის წყაროებსა და გასავლებს;
— წყვეტს სსფ-ში წარმოქმნილ კონფლიქტებს;
— ქმნის სსფ საინფორმაციო სააგენტოს, ირჩევს მის თავმჯდომარეს;
— ამტკიცებს ეროვნული საბჭოს გამგეობის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს სსფ-ის კოლექტიურ მონაწილეებთან;
— ამტკიცებს სსფ სტრუქტურებს და მათი მუშაობის რეგლამენტს, განსაზღვრავს მათ სამართლებრივ სტატუსს, რეგისტრაციაში ატარებს რეგიონულ (უწყებრივ) ფრონტებს;
— წყვეტს სსფ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც წესდებით სსფ ყრილობის გამგებლობას არ განეკუთვნება.

სსფ ეროვნული საბჭო ღებულობს დადგენილებებს, მიმართვებს, ქარტიებს. თავმჯდომარეთა საბჭოს სხდომებსა და ეროვნული საბჭოს ერთობლივ სხდომებს თავმჯდომარეობს ეროვნული საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე. დელეგატთა პალატა ირჩევს თავის თავმჯდომარეს ექვსი თვის ვადით.

სსფ ეროვნულ საბჭოსთან ფუნქციონირებს სსფ პარტიული ფორუმი.

##### III. სსფ-ის ეროვნული საბჭოს გამგეობა

სსფ მუდმივმოქმედი მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოა სსფ ეროვნული საბჭოს გამგეობა.

გამგეობა:

— ხელმძღვანელობს სსფ ყოველდღიურ საქმიანობას და პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე;
— ამზადებს ყრილობებს და ეროვნული საბჭოს დავალებით იწვევს რიგგარეშე ყრილობებს, ამზადებს ეროვნული საბჭოს სხდომებს;
— ქმნის კომიტეტებს, კომისიებს და სხვა ხელმძღვანელ სტრუქტურებს;
— ზრუნავს სსფ შემოსავლებზე;
— განაგებს სსფ ფინანსებს;
— აწარმოებს ურთიერთობებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
— იხილავს და წყვეტს კონფლიქტებს;
— არჩევს კანდიდატებს არჩევნებზე და წარადგენს მათ დასამტკიცებლად ეროვნულ საბჭოზე;
— სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;
— რეგულარულად იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, აწყობს სოციოლოგიურ და სხვა სახის გამოკითხვებს საზოგადოების ინტერესების მაქსიმალურად სრულყოფილი დაკმაყოფილების მიზნით;
— ამყარებს ურთიერთობებს სხვა რესპუბლიკების და საზღვარგარეთ მოქმედ სახალხო მოძრაობებთან და ორგანიზაციებთან, თანამშრომლობს მათთან, დებს ხელშეკრულებებს სსფ კოლექტიურ მონაწილეებთან;
— აწყობს მიტინგებს და სხვა სახის საჯარო ღონისძიებებს, აღნიშნავს ისტორიულ თარიღებსა და დღესასწაულებს;
— პროგრამიდან გამომდინარე, აწყობს აქციებს სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ეწევა სსფ-თვის სასარგებლო სხვა სახის საქმიანობას.

გამგეობის სხდომებს თავმჯდომარეობს გამგეობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

გამგეობა ღებულობს გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, მიმართვებს. ყველა საკითხის გადაწყვეტა გამგეობაში ხდება ხმების უმრავლესობით.

გამგეობის აქტები სავალდებულოა სსფ ყველა მონაწილესათვის. მისი მოქმედების შეჩერების უფლება აქვს სსფ ეროვნული საბჭოს პალატებს როგორც ცალცალკე, ასევე ერთობლივ სხდომებზე ხმების ორი მესამედით.

სსფ სტრუქტურების ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სსფ სარევიზიო კომისია. მისი წევრი არ შეიძლება იყოს სსფ ეროვნული საბჭოს ან გამგეობის წევრი.

სსფ ეროვნული საბჭოს გამგეობა და სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია სსფ ეროვნული საბჭოს წინაშე.

### სსფ-ის სახსრები

სსფ-ის სახსრების წყაროა სსფ-ის მონაწილეთა, გარეშე პირთა ან ორგანიზაციათა შემოწირულობანი, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სსფ სახსრები გამოიყენება თანამშრომელთა დაქირავებისათვის, ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის და სხვა მიზნებისათვის სსფ ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებების შესაბამისად.

### სსფ-ის სიმბოლიკა

სსფ-ს აქვს თავისი სიმბოლიკა, (დროშა, გერბი, სამკერდე ნიშანი), რომელსაც ამტკიცებს სსფ ეროვნული საბჭო. სიმბოლიკა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ სსფ ეროვნული საბჭოს გამგეობის ნებართვით.

სსფ ეროვნული საბჭოს გამგეობას და რეგიონული (უწყაბრივი) ფრონტების გამგეობებს აქვთ თავიანთი ბეჭდები შესაბამისი დასახელებებით.

### სსფ-ის ადგილსამყოფელი

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული საბჭოს გამგეობის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რეგიონული (უწყებრივი) ფრონტების გამგეობებისა — შესაბამისად მათ მიერ შერჩეული ადგილები.

### სსფ-ის შექმნა და ლიკვიდაცია

სსფ შექმნა და მისი წესდების დამტკიცება ხდება სსფ პირველ ყრილობაზე.

სსფ ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ყრილობის გადაწყვეტილებით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების გამოყენება ხდება მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

# ჩვენი ფრონტის ერთი წლის გაკვეთილები

(დასასრული)

დინარეობს ის გზა, რასაც უნდა დავადგეთ, თუ გვინდა, რომ ფეხზე დავდგეთ და გავძლიერდეთ.

აქამდე ჩვენს წერილს პესიმისტური ნოტები გამსჭვალავდა, მაგრამ დავამთავრებთ ოპტიმისტურად. რაკი ასეთი არაორგანიზებულობის ვითარებაში სსფ მთლიანად არ დაიშალა და არსებობა არ შეწყვიტა, ამდენად ჩვენი ორგანიზაცია საკმაოდ სიცოცხლის უნარიანი ყოფილა. აბა წარმოვიდგინოთ, რომ არ გვქონოდა აღნიშნული და კიდევ უფრო მეტი ხარვეზები, ხომ ნათელია როგორი ორგანიზაცია გვექნებოდა სსფ-ს სახით?

დრო არ ითმენს, ჩვენი ქვეყანა ჩიხში იმყოფება. მწიფდება ობიექტური ფაქტორები ახალი 26 მაისის დადგომისათვის. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს მძლავრი სუბიექტური ფაქტორი მასობრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიების სახით. ძლიერი მასობრივი ორგანიზაცია ვერ გახდება რუსთაველის საზოგადოება, ამის შანსი აქვს სსფ-ს. სწორედ მის რიგებში ყველაზე უფრო მეტია ადამიანი, რომლებსაც ამბიციები ნაკლებ აწუხებთ, ხოლო უპირველეს ყოვლისა აწუხებთ საქართველოს მომავალი და მისთვის მზად არიან იყვნენ უბრალო ჯარისკაცები, გენერლობისა და ოფიცრობის პრეტენზიების გარეშე. ამის გაცნობიერება პირადად ჩვენში დიდ შთაგონებას იწვევს. ვისურვებდი, რომ იგი მრავალ ჩვენგანს გადაგვდებოდეს.

და ბოლოს ერთი გარემოების შესახებ. ეს წერილი არც ერთი ადამიანის, არცერთი ჯგუფის წინააღმდეგ არ არის ჩაფიქრებული. ავტორს არც სსფ-ში რაიმე კარიერის კეთების სურვილი ამოძრავებს, რამეთუ მეცნიერებაში, კერძოდ, ისტორიოგრაფიაში მას ვგონებ რაღაც სერიოზულის გაკეთება შეუძლია. ასე რომ, სსფ-ში საქმიანობა მისთვის ოდენ საზოგადოებრივი მოვალეობის აღსრულებას წარმოადგენს.

ერთადერთი მოტივი წერილის დაწერისა გახლავთ გულწრფელი სურვილი იმისა, რომ სსფ-ის სახით ჩვენს ქვეყანას ძლიერი ორგანიზაცია ჰყავდეს და მას ეთამაშოს სათანადო, შესაფერისი როლი საქართველოს დღევანდელ მძიმე სიტუაციაში. დაე მისი სახით ქართველობას ენახოს უტყუარი ორიენტირი — ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ბურამ ყორანაშვილი
სსფ-ის გამგეობის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა წარმოთქმული სახალხო ფრონტის კონფერენციის გახსნაზე

სსფ-ს განვლილი ეტაპი ეს უკვე ისტორიაა. ამიტომ, ვინ რა გააკეთა და რა როლი შეასრულა, ეს ისტორიკოსების საქმეა. შეისწავლიან კიდევაც და გაარკვევენ ჭეშმარიტებას. ჩვენი ამოცანა კი გამოიხატება იმაში, რომ გავაკეთოთ დასკვნები, გავაანალიზოთ ობიექტურად ფრონტის წარსული და გამოცდილება, აქედან გამომდინარე სწორად დავგეგმოთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მომავალი, ფრონტის საქმიანობის პერსპექტივები, მისი ტენდენციები, შევიმუშაოთ მისი ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ფრონტის მაქსიმალურად ნაყოფიერ მუშაობას.

ფრონტი, ერთიანი სტრუქტურაა. მაგრამ ამასთანავე ყოველ მის რგოლს გააჩნია თავისი გარკვეული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. ფრონტის ძირითადი რგოლებია — პირველადი ჯგუფი, რეგიონული (უწყებრივი) ფრონტი და რესპუბლიკური გამგეობა (ცენტრი). მართალია ყველა ეს რგოლი ორგანიზაციულად დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ მათ შორის კავშირის გარეშე შეუძლებელი და წარმოუდგენელია როგორც მათი არსებობა, ასევე მათი ეფექტური მუშაობა და ფუნქციონირება. დღევანდელ ეტაპზე, სწორედ ფრონტის რგოლებს შორის ურთიერთობებზეა დამოკიდებული ფრონტის ეფექტიანობის მაჩვენებელი.

ურთიერთობები ფრონტის სტრუქტურებს შორის შეიძლება დამყარდეს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური.

ვერტიკალური ურთიერთობები შეიძლება დამყარდეს: ა) პირველად ჯგუფსა და რეგიონულ ფრონტის გამგეობებს შორის, ბ) რეგიონულ ფრონტებსა და ცენტრს შორის, გ) ასევე პირველად ჯგუფებსა და ცენტრს შორის.

ფრონტის პირველმა ყრილობამ დააფუძნა ფრონტი და არსებულ პირველად ჯგუფებს შეუქმნა ცენტრი ფრონტის გამგეობის სახით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრონტის გამგეობა მისი შექმნის ეტაპზე იყო ლოგიკური შედეგი ფრონტში მიმდინარე პროცესებისა და გამოხატავდა ფრონტში არსებული ძალების ნებას.

განვიხილოთ ცენტრისა და ადგილების ურთიერთობები. ვინ ვისი ინტერესები უნდა გამოხატოს? ცენტრმა ადგილებისა თუ ადგილებმა ცენტრისა?

ყრილობის შემდეგ ივლის-აგვისტოში, ზოგან კი უფრო მოგვიანებით, შეიქმნა რეგიონული ფრონტები, რომელთა არსებობა გათვალისწინებული იყო წესდებით. ამით ფრონტში გაჩნდა ახალი შუალედური საყრდენები და მაკოორდინირებელი სტრუქტურები.

რაიონული რგოლები გაძლიერდა, რასაც ვერ ვიტყვით ცენტრზე. რატომ მოხდა ისე, რომ ცენტრი ჩამორჩა რაიონულ რგოლებს, მაშინ როდესაც ცენტრი გაცილებით ძლიერი იყო იმ ეტაპზეც კი, როცა რაიონული რგოლები არ არსებობდა.

ამას აქვს თავისი მიზეზები. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ ცენტრი ჩამორჩა ეროვნული მოძრაობის ტემპებს. ცენტრი იმ შემადგენლობით და იმ სტრუქტურით მისაღები იყო იმ ეტაპზე, მაშინ როცა რეგიონები ჯერ არ არსებობდა. ხოლო როცა შეიქმნა რეგიონები, მაშინ საჭირო გახდა უკვე უფრო ძლიერი, გამოცდილი და აქტიური ცენტრი. რეგიონული ფრონტების შექმნამ დღის წესრიგში დააყენა ფრონტის ცენტრის გარდაქმნის აუცილებლობა. როდის იყო საჭირო ცენტრის რეფორმა? საჭირო იყო სექტემბერ-ოქტომბერში. ეს უნდა გაეკეთებინა ყრილობას, და გადაწყვიტა კიდეც პირველმა ყრილობამ, რომ მეორე უნდა მოწვეულიყო სექტემბერ-ოქტომბერში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ფრონტში არ აღმოჩნდა ძალა, რომელიც შეძლებდა მეორე ყრილობის მოწვევას. ცენტრმა არ მოინდომა, ადგილები არ აღმოჩნდა იმ დონეზე ორგანიზებული, რომ მას ეს გაეკეთებინა. ამან დაგვანახა, რომ რეგიონებს შორის არ არსებობს ურთიერთკავშირის მექანიზმი. ცენტრმა კი ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას და ვერ შეასრულა ცენტრის ფუნქცია.

გამგეობის დანიშნულება თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ესაა ფრონტის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამიტომ გამგეობა თვითონ არ შეიძლება ყოფილიყო მაკოორდინირებელი ორგანო. მასში სხვა შინაარსია ჩადებული. გამგეობას უნდა შეექმნა ასეთი მაკოორდინერებელი ორგანო და გაეწია ხელმძღვანელობა მისი საქმიანობისათვის. მაგრამ ეს არ მოხდა. კონკრეტულად ვისი ბრალია, ამას ალბათ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს საკითხი ალბათ ყრილობაზე დადგება და გაირკვევა. მაგრამ ფაქტია ის რომ, ზოგიერთმა ფრონტში არ იგრძნო და ვერ გაიგო ის პასუხისმგებლობა, რაც მას ეკისრებოდა ერის წინაშე. ბევრიც გაიქცა ფრონტიდან.

ფრონტის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ყრილობის მოწვევა არც თუ ისე ადვილი საქმე ყოფილა. ამიტომ იბადება ლოგიკური აუცილებლობა ფრონტში ისეთი სტრუქტურის არსებობისა, რომელიც შეასრულებს გარკვეულად მაკონტროლებელ როლს ფრონტის გამგეობის მიმართ და მოახდენს მასში როგორც სტრუქტურულ, ასევე პერსონალურ ცვლილებებს, ე. ი. საჭირო აღმოჩნდა ფრონტის გამგეობასა და ყრილობას შორის მდგომი ორგანო.

მეორეს მხრივ, ფრონტის საქმიანობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ფრონტში საჭიროა მაკონტროლებელი ორგანო — საკრებულო რეგიონული (უწყებრივი) ფრონტების თავმჯდომარეთა საბჭო.

ვერტიკალური ურთიერთობები მყარდება რეგიონული ფრონტების ხელმძღვანელობასა და სსფ ჯგუფებს შორის. როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობები, ვისი პრიორიტეტი უნდა არსებობდეს, საჭიროა საერთოდ პრიორიტეტი? რეგიონული ხელმძღვანელობისა თუ სსფ ჯგუფისა? ამ კითხვაზე რომ პასუხი გაეცეს, საჭიროა გაირკვეს რომელს რა ძალა გააჩნია და რომელს უფრო მეტად შეუძლია თავის ნების განსაზღვრა, მისი დაცვა და რეალიზება. სსფ ჯგუფში მეტია თანამოაზრეობა და იგი უფრო ადვილად დაადგენს თავის ნებას, რასაც ვერ გააკეთებს რეგიონული ფრონტი. სამაგიეროდ, რეგიონულ ფრონტს უფრო ძლიერი გარანტიები აქვს თავისი ნების დაცვისა. აქედან გამომდინარე შექმნილ კონფლიქტურ მდგომარეობაში იჩაგრება სსფ ჯგუფი. ამასთანავე ამ უკანასკნელს შეუძლია არ განახორციელოს რეგიონული ფრონტის ნება, გაუწიოს მას აქტიური წინააღმდეგობა, ან პასიური იგნორირება, რითაც ფრონტის სიცოცხლე ჩერდება. ამიტომ რეგიონული ფრონტისა და მასში შემავალი ჯგუფების ურთიერთობების სწორი და გამართლებული მექანიზმის შერჩევაა საჭირო. ამ პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ფრონტის სიცოცხლისუნარიანობა. ვინ ვისი ინტერესები გამოხატოს? რეგიონული ფრონტი სსფ ჯგუფების ერთობლიობაა. ამიტომაც სრულად უნდა იყოს ეს ასპექტი ასახული რეგიონული ფრონტის საქმიანობაში. რეგიონული ფრონტის ხელმძღვანელი ორგანო გარკვეულწილად უნდა იყოს მაკოორდინირებელი ორგანო. რეგიონული ფრონტი უნდა იყოს, როგორც ხელმძღვანელი-განმკარგულებელი. ასეთი სტრუქტურები ფრონტში პრაქტიკულად უკვე შექმნილია. რეგიონულ ფრონტებში არსებობენ მათი გამგეობები, როგორც ხელმძღვანელ-განმკარგულებელი ორგანოები, და რწმუნებულთა საბჭოები, როგორც მაკოორდინირებელი. ამ სტრუქტურებს უნდა უფრო დახვეწა და მათ შორის ფუნქციებს სწორად გამიჯვნა.

ჰორიზონტალური ურთიერთობები.

ასეთი სახის ურთიერთობები ძირითადად ორი სახისაა: რეგიონულ ფრონტში შემავალ სსფ ჯგუფებს შორის და რეგიონულ ფრონტებს შორის. თუ პირველი სახის ურთიერთობები მოგვარებულია გარკვეულწილად, მეორე სახისა საერთოდ არ არსებობს და ვერ დამყარდა. საქმე ეხება ურთიერთობებს რეგიონულ ფრონტებს შორის. ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა იყო თბილისის რეგიონული ფრონტების დაფუძნება და მათი საერთო მაკოორდინირებელი გამგეობის შექმნა. რეგიონული ფრონტები თბილისში დარჩა და დღესაც ფუნქციონირებს მეტნაკლებად კარგად, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის გამგეობაზე, რომელიც აღარ არსებობს და დაიშალა გარკვეული ანტიფრონტული ძალების ეფექტური ზემოქმედების შედეგად.

მეორე მცდელობა რეგიონულ ფრონტებს შორის ურთიერთობების დამყარებისა — ესაა სახალხო ფრონტის თბილისის დარბაზი. რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე რეგიონული ფრონტი. ჰორიზონტალური ურთიერთობების გარეშე შეუძლებელია ფრონტის ნორმალური ფუნქციონირება. თუ ფრონტის ჯგუფებს შორის ურთიერთობების დამყარების პროდუქცია რეგიონული სახალხო ფრონტები, რომლებიც გარკვეულ წილად ქმნიან განმკარგულებელ ორგანოებს, რეგიონულ ფრონტებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობები შეიძლება დაგვირგვინდეს მხოლოდ მაკოორდინირებელი სტრუქტურის შექმნით. ამასთანავე თუ როგორი სახის კავშირის ორგანოები შეიქმნას. ეს დამოკიდებულია არა მარტო სსფ ჯგუფების ტერიტორიულ განლაგებაზე, არამედ ამ ტერიტორიების მართვის სპეციფიურობაზე.

ფრონტის წარმატებით საქმიანობისათვის აუცილებელია მისი მეორადი დამხმარე სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება. ესენია კომისიები, კომიტეტები და სხვადასხვა სახის ცენტრები.

აი ამ საკითხებს უნდა მივაქციოთ დღეს ყურადღება.

**ქართლოსი**

18 მაისი, 1990 წ.
თბილისი.

---

**წერილი** დასაბეჭდად მომზადდა გაცილებით ადრე; ვიდრე კონკრეტულად დადგენილი იქნებოდა სსფ-ს მეორე ყრილობის მოწვევის ვადა. წერილი გაზეთ „თბილისის" რედაქციამ არ გამოაქვეყნა.

ქვეყნდება უცვლელად.

# ღია წერილი

## სსფ გამგეობას,
## სსფ-ს ყველა რეგიონულ (უწყებრივ) ორგანიზაციას,
## სსფ-ს ყველა წევრს და მხარდამჭერს

**საქართველოს** სახალხო ფრონტის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1988 წლის გაზაფხულ-ზაფხულიდან იღებს სათავეს. ქართველი ხალხი ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა 1989 წლის თებერვლიდან, როცა თავდაპირველად [illegible] პირველადი ჯგუფის რწმუნებულ[illegible] ჩამოაყალიბა სსფ რწმუნებულთა დროებითი საბჭო და შეუდგა დამფუძნებელი ყრილობისათვის მზადებას.

ამის შემდეგ სსფ-ის განვითარება გარკვეულწილად ტალღისებურად წარიმართა.

1989 წლის მარტი სახალხო ფრონტის დიდი აღმავლობით აღინიშნა. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, რომელსაც პატიაშვილის რეჟიმი სახალხო ფრონტის თვით იდეის გავრცელებას უწევდა (იმ მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობს ზოგიერთი ცილისმწამებელი, თითქოს სსფ კომპარტიის ცკ-ისა და სუკ-ის მიერ ინსპირირებული ორგანიზაცია იყოს), [illegible] სსფ-ის რიგების სწრაფი და [illegible] ზრდა, თბილისის საწარმო-დაწესებულებებში ზედიზედ [illegible] პირველადი ჯგუფები. სსფ-ის ზრდისა და განმტკიცების [illegible] უნარიანად ხელმძღვანელობდა 11 მარტის კონფერენციაზე არჩეული სსფ-ის ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომისია ადრე შექმნილი სამუშაო ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად. 9 აპრილის მოვლენებმა კიდევ უფრო დააჩქარეს ეს პროცესი. ფართოდ გაიშალა სსფ-ის პირველადი ჯგუფებისა და მათი გაერთიანებების ჩამოყალიბება თბილისის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სსფ-ის განვითარების ეს პერიოდი დაგვირგვინდა ივნისის 5 ცხელი დღით, როცა ჩატარდა სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც მიღებულ იქნა სსფ-ის წესდება და პროგრამა, არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ორგანოები — გამგეობა, მისი თავმჯდომარე და სარევიზიო კომისია. ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებზე უარყოფითი გავლენა იქონია დელეგატთა უმრავლესობის პოლიტიკურმა გამოუცდელობამ. წესდებით დაკანონდა სახალხო ფრონტის ისეთი სტრუქტურული მოდელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა სსფ-ის შემადგენელ ნაწილებს შორის ნორმალურ ურთიერთკავშირსა და კოორდინაციას. ამან ფრონტის შემდგომ მუშაობაში იჩინა თავი.

სსფ-ის ახლად არჩეულმა გამგეობამ იმთავითვე გამოავლინა თავისი სისუსტე. უუნარობა გადაწყვეტილებათა მიღებაში. გამგეობის წევრთა უმრავლესობა სხდომებზე პასიურობდა, სტატისტის როლში გამოდიოდა, უფრო ხშირად კი საერთოდ აცდენდა სხდომებს, რის გამოც სსფ-ის მუშაობა ყრილობის დამთავრებისთანავე პარალიზებული აღმოჩნდა.

ახალი აღმავლობა სახალხო ფრონტის ცხოვრებაში ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო, რაც მოქმედი წესდებით გათვალისწინებული რეგიონული და უწყებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ეს პროცესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდა, მაგრამ განსაკუთრებული გამოცოცხლება საწყის პერიოდზე — ივლის-აგვისტოზე მოდის, როცა წარმატებით ფუნქციონირებდა თბილისის რეგიონული და უწყებრივი სახალხო ფრონტების საკოორდინაციო საბჭო.

მაგრამ სსფ-ის რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბების კვალობაზე სულ უფრო მეტად ვლინდებოდა რეგიონებსა და ცენტრს შორის კავშირების სისუსტე, მათი არაკოორდინირებულობა, რამაც უფრო რელიეფურად წარმოაჩინა მოქმედი წესდების ხარვეზები. გამგეობის თავმჯდომარისა და რამდენიმე წევრის, აგრეთვე, ზოგიერთი აქტივისტის დაუღალავი შრომა ამ ხარვეზების კომპენსირებას ვერ ახდენდა. რამაც საბოლოო ჯამში, 1989 წლის ბოლო თვეებში სახალხო ფრონტის მუშაობა კიდევ უფრო დააქვეითა.

სახალხო ფრონტს მცირე გამოცოცხლება დაეტყო 1990 წლის იანვარ-თებერვალში, რაც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებასთან და საერთოდ, წინასაარჩევნო კამპანიასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ თანდაყოლილმა სენმა რეგიონებისა და ცენტრის შეუთანხმებლობამ — აქაც იჩინა თავი: ხშირად დეპუტატის ერთ მანდატს სსფ-ის ორი წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს: ერთი იყო რეგიონის მიერ დასახელებული, ხოლო მეორე — ცენტრისგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმისათვის საგანგებოდ შექმნილმა სსფ-ის საარჩევნო კომისიამ, მიუხედავად მრავალი თეთრად გათენებული ღამისა, ჭეშმარიტად ტიტანური შრომისა, დაკისრებულ მოვალეობას მთლიანობაში თავი ვერ გაართვა: იყო შემთხვევები ამ კომისიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების გადაჭარბებისა.

და ბოლოს, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სსფ-ის პოზიციებს 13—15 მარტს გამართულმა ე. წ. საგანგებო კონფერენციამ. სახალხო ფრონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მთლიანობაში გაუძლო დარტყმას, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უდანაკარგოდ. სსფ-ისა და მის მიერ დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა რიგებში გარკვეული მერყეობა შეიმჩნეოდა. სსფ-ის რიგებიდან გავიდა წევრთა გარკვეული ნაწილი, მათ შორის სამი — გამგეობის წევრი, ზოგიერთმა დეპუტატობის კანდიდატმა სსფ-იდან მოხსნა თავისი კანდიდატურა, პირველადი ჯგუფების მცირე ნაწილმა თვითლიკვიდაცია მოახდინა და ა. შ. ყველაფერმა ამან, საბოლოო ჯამში, 25 მარტის არჩევნების გაურკვეველი დროით გადავადება გამოიწვია, რამაც საქართველოს უზენაესი საბჭოს დღევანდელ უკანონო, კომპარტიის ცკ-ის მიერ დანიშნულ „ნომენკლატურულ" შემადგენლობას არსებობა გაუხანგრძლივა და ქართველ ერს კანონიერი, დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლების ყოლის შესაძლებლობა გაურკვეველი ვადით გადაუდო. ჩვენი დამოკიდებულება მარტის შუა რიცხვებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი გამოვხატეთ სსფ-ის რამდენიმე რეგიონული გაერთიანებისა და სხვა დემოკრატიულ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ 18 მარტს შემუშავებულ ერთობლივ განცხა-

(დასასრული მე-4 გვ.)

---

**მიმდინარე** წლის 23—25 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის ინიციატივით ჩატარდა საქართველოს ეროვნული ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებების და ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ. ყრილობის გადაწყვეტილებები უკვე ცნობილია. მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებისათვის.

# სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა

საქართველოს ეროვნული ყრილობის მოსამზადებელმა საკოორდინაციო ცენტრმა საქართველოს სახალხო ფრონტს ყრილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით გამოუყო 50 მანდატი, რომელიც გადაეცა სსფ-ს გამგეობის წევრს ბატონ ავთანდილ იმნაძეს.

სსფ 22 მაისის კონფერენციის ბოლოს, როდესაც დარბაზი დატოვა დელეგატთა უმრავლესობამ, მოულოდნელად წამოიჭრა საკითხი ფრონტის მონაწილეობის შესახებ საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში. სხდომას თავმჯდომარეობდა ავთანდილ იმნაძე. მიუხედავად იმისა, რომ დელეგატების გარკვეული ნაწილი მოითხოვდა სახალხო ფრონტს მიეღო მონაწილეობა ეროვნულ ყრილობაში კონფერენციამ (თუ შეიძლება მას დაერქვას კონფერენცია, რადგან იქ დელეგატების მცირე ნაწილიღა იყო დარჩენილი) მიიღო „გადაწყვეტილება" საკოორდინაციო ცენტრის მიერ ფრონტისათვის გაცემული მანდატების უკან დაბრუნების შესახებ. ეს გადაწყვეტილება, (რომლის მსგავსსაც არ მიიღებდა კომუნისტური ორგანიზაციაც კი) იყოს მათ სინდისზე, ვინც მოითხოვდა მანდატების უკან დაბრუნებას და თავისიც გაიტანა.

მიუხედავად 22 მაისის კონფერენციის გადაწყვეტილებისა რეგიონული ფრონტების უმრავლესობამ, მაინც მოახერხა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

თუ ფრონტში გაერთიანებულ ძალებს აქვთ პრეტენზია წვლილი შეიტანონ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაში, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ნებისმიერ ეროვნულ ღონისძიებებში და გამოხატონ თავიანთი პოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი

(დასასრული)

დებაში („ჩვენი პოზიცია“ — იხ. გაზ. „თბილისი“, 22. 03. 1990). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განცხადებამ სსფ-ის ზოგიერთი ფუნქციონერის რისხვა გამოიწვია, რაც მათი პოლიტიკური შეხედულებების მერყეობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

განვლილ პერიოდში სსფ-ის მუშაობის მთლიანი სურათის შესავსებად უნდა დავამატოთ, აგრეთვე, რომ ყრილობის შემდგომი თითქმის ერთი წლის მანძილზე პრაქტიკულად არ უმოქმედია არც ერთ ცენტრალურ დარგობრივ კომისიას. ამავე დროს სსფ-ის გამგეობის განკარგულებაში ჩამოყალიბდა ბიუროკრატიული აპარატი, რომლის ზოგიერთი მუშაკი ამბიციურობით ცკ-ისა და სხვა პარტიულ-საბჭოთა ბიუროკრატიას ტოლს არ უდებს.

სრულიად აშკარაა, რომ სსფ-ის ხელმძღვანელი ორგანოებისა და მთლიანად, ორგანიზაციის მუშაობა განვლილ პერიოდში არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს. მეტიც, ნათელია, რომ როგორც სახალხო ფრონტში, ისე მის გარეთ მოქმედი გარკვეული პოლიტიკური ძალების შეცადინეობით სსფ — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და დემოკრატიულ მოძრაობაში თავისი არსით ყველაზე დიდი პოტენციისა და შესაძლებლობების მქონე ორგანიზაცია დღეს კატასტროფისკენ მიექანება.

სსფ-ის დღევანდელი მდგომარეობა ხასიათდება აშკარა დისბალანსით ცენტრსა და რეგიონებს შორის. ცენტრის გამოკვეთილი პოლიტიკური სახის უქონლობა, ინტელექტუალური პოტენციალის ნაკლებობა შეჯვარებულ-დამყნობილი ზოგიერთი „მოღვაწის“ უზომო ამბიციებზე, ხელს უშლის რეგიონებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლინებაში, ვერ უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინაციას მათ შორის.

სსფ-ს დღეს ნამდვილად უჭირს. ამ გაჭირვების დაძლევა შეიძლება, რადგანაც არსებობს სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებული სტრუქტურა და საკმაოდ დიდი მასა გარკვეული პოლიტიკური გამოცდილების მქონე და საკმარისად აქტიური ადამიანებისა, რომლებსაც ვითარების გამოსწორების ძალა შესწევთ, საჭიროა კარგი ორგანიზაცია, მაგრამ როგორი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის თვით სსფ, მისი არსი, მიზნები და ამოცანები. თუ ჩვენ ეს ყველაფერი ისე გვესმის, როგორც ეს სსფ-ის მოქმედ პროგრამასა და წესდების პრეამბულაშია მოცემული, მაშინ სსფ უნდა გავიაზროთ, როგორც საერთო სახალხო მოძრაობა, რომელიც მიზნად თავისუფალი (ე. ი. დამოუკიდებელი და დემოკრატიული) საქართველოს დაფუძნებას ისახავს.

აქედან გამომდინარე, სსფ უნდა გახდეს ორგანიზაცია, რომელიც დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ძირითადად ცენტრისტულ ძალებს გააერთიანებს. როცა ვლაპარაკობთ ცენტრიზმზე, არ უნდა ავურიოთ ორი სხვადასხვა ცნება: მიზნები და მეთოდები. ჩვენ აქ ,უპირველეს ყოვლისა, მიზნებზე გვაქვს ლაპარაკი: სსფ-ის მიზანს საქართველოში რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიის გაბატონება კი არ უნდა წარმოადგენდეს (როგორც, ვთქვათ, კომპარტიის მიზანია მარქსისტული იდეოლოგიის გაბატონება), არამედ დემოკრატიული, ჰუმანიზმსა და პიროვნების თავისუფლების პრინციპზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამიტომ სახალხო ფრონტი უნდა დარჩეს მრავალფეროვანი პოლიტიკური შეხედულებების მქონე, მაგრამ არსებითად ლიბერალურ-ცენტრისტულ პოზიციებზე მდგომ ადამიანთა გაერთიანებად. მეტიც, ჩვენ შეგვიძლია, სსფ საქართველოში მოქმედი ყველა ცენტრისტული პოლიტიკური ძალის გამაერთიანებლად გადავაქციოთ. ამ მიზნის შესაბამისი უნდა გახდეს სსფ-ის ორგანიზაციული სტრუქტურაც.

ზემოთქმულის განსახორციელებლად საჭიროა სსფ-ის წესდებაში შესაბამისი შესწორებების შეტანა. ამის გაკეთება კი მხოლოდ ყრილობას შეუძლია. ყრილობის უსწრაფესად მოწვევის აუცილებლობა სსფ-ის მოქმედი წესდებითაცაა განპირობებული, რომლის მიხედვითაც ფრონტის ყრილობა ტარდება 6 თვეში ერთხელ (პირველი ყრილობის დახურვიდან კი უკვე მეთორმეტე თვე მიდის), პირველი ყრილობის მიერ რჩეულ თავმჯდომარეს 1989 წლის დეკემბერში გაუვიდა ვადა, ხოლო გამგეობას მიმდინარე წლის 25 ივნისს გაუვა. ყრილობამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დააკანონოს მუდმივ-მოქმედი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ყრილობასა და გამგეობას შორის შუალედურ ადგილს დაიჭერს და ამ უკანასკნელის მიმართ მაკონტროლებელ ფუნქციას იკისრებს, რაც საჭიროების შემთხვევაში გამგეობის შემადგენლობაში პრინციპულური ცვლილებების მოხდენის შესაძლებლობას მოგვცემს.

ასეთი წარმომადგენლობითი ორგანო შეიძლება ყრილობამდეც ავამოქმედოთ. მისი ერთადერთი ფუნქცია ყრილობის მომზადება და ჩატარება უნდა იყოს. ამგვარ ორგანოდ ყრილობამდე შეიძლება გახდეს რეგიონული და უწყებრივი სახალხო ფრონტების გამგეობათა თავმჯდომარეების საკრებულო.

რაც შეეხება ჩვენი მოქმედების მეთოდებსა და ტაქტიკას, აქ სიტყვა „ცენტრიზმი“ არაფერ შუაშია. თუ პოლიტიკური სიტუაცია მოითხოვს, ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ არანაირი ულტრარადიკალური აქციის ჩატარებასაც კი, როგორც, სხვათა შორის, აქამდეც მოვქცეულვართ.

და ბოლოს გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ ის ჯანსაღი ზნეობრივი და ინტელექტუალური ძალები, რომლებმაც ამავე დროს სსფ-ში წელიწადზე მეტი ხნის ყოფნის შედეგად გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება, განსჯის სიდინჯე და მოქმედების აქტიურობა შეიძინეს, მოახერხებენ სახალხო ფრონტის ჭეშმარიტად საერთო-სახალხო, მასობრივ მოძრაობად გადაქცევას, ქართველი ერის გარკვეული ნაწილის ფსიქიკიდან 70-წლოვანი ბოლშევიკური მონობის შედეგად დალექილი სოციალური აპათიისა და პოლიტიკური პასიურობის აღმოფხვრას. საბოლოო ჯამში, სწორედ სსფ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც თავისუფლებისმოყვარე, ლაღ ქართველ ერს სანუკვარი ოცნების — დამოუკიდებელი დემოკრატიული, ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველოს ხილვის ახდენამდე მიიყვანს.

სსფ-ის გამგეობის ყველა წევრს, ყველა რეგიონულ და უწყებრივ სახალხო ფრონტს, სსფ-ის ყველა წევრს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც სულერთი არ არის ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი, მივმართავთ თხოვნით, მხარი დაუჭირონ ჩვენს მოთხოვნას სსფ-ის ყრილობის გადაუდებლად ჩატარების შესახებ, დაგვეხმარონ მის მომზადებაში. ამ მიზნით პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული და უწყებრივი სახალხო ფრონტების გამგეობათა თავმჯდომარეების საკრებულო, რომელიც ყრილობის ორგანიზაციის ძირითად ტვირთს თავად ზიდავს.

(თეთრიწყაროს, თბილისის: ოქტომბრის, მთაწმინდის, ვაკე-დიდგორის, ვაზისუბნის და საქარხნო რაიონის რეგიონული ფრონტები.

## თეთრიწყაროს მ. კოსტავას სახელობის რეგიონული სახალხო ფრონტის მე-3 კონფერენციის რეზოლუცია

1. თეთრიწყაროს რეგიონული სახალხო ფრონტის მესამე კონფერენციას შეგნებული აქვს იმ კრიზისის სერიოზულობა, რაც ამჟამად შექმნილია სსფ-ში. კრიზისმა, თუ მას დროულად არ აღმოვფხვრით, შეიძლება სახალხო ფრონტი და საერთოდ ეროვნული მოძრაობაც კი გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიიყვანოს. ამიტომ კონფერენციის მონაწილენი ყრილობის დელეგატებს მოუწოდებენ საღი აზრისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებისაკენ.

2. თრსფ მესამე კონფერენცია მხარს უჭერს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევის იდეას და მოუწოდებს რაიონის მთელ მოსახლეობას, ასევე სსფ-ს სხვა რეგიონულ და უწყებრივ ფრონტებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეროვნული კონგრესის არჩევნებში.

ამავე დროს, მას აუცილებლად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მრავალპარტიულობისა და თანაბარუფლებიანობის საფუძველზე.

ასეთი პრინციპით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ და ეროვნულმა კონგრესმა უნდა მართონ საქართველოს ბედ-იღბალი, მიიყვანონ საქართველო სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე.

3. თრსფ მესამე კონფერენცია სრულ უნდობლობას უცხადებს საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარს და მოუწოდებს რაიონის მთელ მოსახლეობას ბოიკოტი გამოუცხადოს საბჭოთა არმიაში სამსახურს. ამასთანავე, მიმართავს რაიონის ფაქტიურ ხელმძღვანელობას ნუ მიიღებს დადგენილებას საბჭოთა არმიაში გაწვევის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქციელი შეფასებული იქნება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ აქტად და თრსფ მიმართავს მასობრივ აქციებს.

4. თრსფ მესამე კონფერენცია წინააღმდეგია თურქების საქართველოში ჩამოსახლებისა, მიაჩნია, რომ მათი ჩამოსახლება ძირეულად ეწინააღმდეგება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და მოუწოდებს რაიონის მთელ მოსახლეობას წინ აღუდგნენ და არ დაუშვან თურქების ჩამოსახლება საქართველოში.

თეთრიწყარო

15. 06. 90.

## სსფ-ის მე-13 თვე

სსფ-ის მოქმედი წესდების შესაბამისად სსფ-ის ყრილობა იწვევა წელიწადში ორჯერ მაინც. პირველი — დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა 1989 წ. ივნისში. უკვე იწურება მე-13 თვე მის შემდეგ. სსფ-ის გამგეობამ დღემდე ვერ მოახერხა სსფ-ის მე-2 ყრილობის ჩატარება ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, რაც სსფ-ის წესდების აშკარა დარღვევაა. ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ სსფ-ის ყრილობის მიერ არჩეულ თავმჯდომარეს 6 თვით თავმჯდომარეობის ვადა გაუვიდა 1989 წლის დეკემბერში. ხოლო სსფ-ის გამგეობას სსფ წესდების თანახმად არა აქვს უფლება გააგრძელოს თავმჯდომარეობის ვადა. ეს უფლება ჩვენი წესდების მიხედვით მხოლოდ სსფ-ის ყრილობის პრეროგატივაა. ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ სსფ-ის პირველი დამფუძნებელი ყრილობის მიერ 1 წლით არჩეულ გამგეობას ვადა გაუვიდა ა. წ. 25 ივნისს, რის შედეგადაც სსფ რჩება მისი მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოს გარეშე, და რამაც შეიძლება დღის წესრიგში დააყენოს სსფ-ის რეგისტრაციის გაუქმების საკითხი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში.

აღნიშნული ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე, იხელმძღვანელა რა იმით, რომ სსფ მე-2 ყრილობის მოწვევის მცდელობა — დაპირება სსფ-ის გამგეობის მხრიდან იყო არაერთხელ უნაყოფოდ გამოცხადებული, თბილისის ოქტომბრის რაიონის რეგიონული ფრონტის გამგეობის 1990 წლის 16 მაისის სხდომაზე შეიქმნა სსფ მე-2 ყრილობის მოსამზადებელი ალტერნატიული ჯგუფი.

# დეკლარაცია

## რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ

რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა,

— შეგნებული აქვს რა ისტორიული პასუხისმგებლობა რუსეთის ბედის გამო,

— ადასტურებს რა პატივისცემას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შემავალი ყველა ხალხის სუვერენული უფლებების მიმართ,

— გამოხატავს რა რსფსრ-ის ხალხების ნებას,

— საზეიმოდ აცხადებს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს მთელს მის ტერიტორიაზე და გამოხატავს მზადყოფნას შექმნას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული სახელმწიფო, შექმნილი მასში ისტორიულად გაერთიანებული ხალხების მიერ.

2. რსფსრ-ის სუვერენიტეტი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, კულტურისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების მქონე რუსეთის სახელმწიფოებრიობის არსებობის ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა.

3. სუვერენიტეტის მატარებელი და სახელმწიფო ხელისუფლების წყარო რსფსრ-ში მისი მრავალეროვანი ხალხია. ხალხი ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალოდ და წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით რსფსრ-ის კონსტიტუციის საფუძველზე.

4. რსფსრ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ცხადდება უმაღლესი მიზნებისათვის — ყოველი ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების, თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის გამოყენების ხელშეუვალი უფლების, ხალხის მიერ არჩეული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-კულტურული ფორმით თვითგამორკვევის უზრუნველყოფისათვის.

5. რსფსრ-ის სუვერენიტეტის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფისათვის დგინდება:

რსფსრ-ის ის სრული ძალაუფლება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრისას იმ საკითხების გარდა, რომლებიც ნებაყოფლობით გადაეცემა სსრ კავშირის გამგებლობაში;

რსფსრ-ის კონსტიტუციისა და რსფსრ-ის კანონების უზენაესობა რსფსრ-ის მთელს ტერიტორიაზე. სსრ კავშირის იმ აქტების მოქმედება, რომლებიც ეწინააღმდეგება რსფსრ-ის სუვერენულ უფლებებს, შეჩერდება რესპუბლიკის მიერ თავის ტერიტორიაზე. წინააღმდეგობა რესპუბლიკასა და კავშირს შორის წყდება საკავშირო ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

ხალხის განსაკუთრებული უფლება რუსეთის ეროვნული სიმდიდრის ფლობაზე, სარგებლობაზე და განკარგვაზე;

რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში;

რესპუბლიკის უფლება მონაწილეობა მიიღოს მის მიერ საბჭოთა კავშირისადმი გადაცემულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

6. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა ერთიანდება სხვა რესპუბლიკებთან კავშირში ხელშეკრულების საფუძველზე. რსფსრ აღიარებს და პატივსცემს მოკავშირე რესპუბლიკების და სსრ კავშირის სუვერენულ უფლებებს.

7. რსფსრ იტოვებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას საკავშირო ხელშეკრულებითა და მასზე დაფუძნებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. რსფსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს რეფერენდუმის გზით გამოხატული ხალხის ნება-სურვილის გარეშე.

9. რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ადასტურებს რსფსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, ისევე, როგორც მხარეებისა და ოლქების უფლებათა არსებითი გაფართოების აუცილებლობას. ამ უფლებათა განხორციელების კონკრეტული საკითხები უნდა განისაზღვროს რსფსრ-ის კანონმდებლობით ფედერაციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ.

10. რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის და მოქალაქეობის არ მქონე პირისათვის გარანტირებულია რსფსრ-ის კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი.

იმ ერთა და ეროვნებათა წარმომადგენლობისათვის, რომლებიც ცხოვრობენ რსფსრ-ში თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფარგლებს გარეთ ანდა არ გააჩნიათ ასეთი რსფსრ-ს ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილია მათი კანონიერი პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურული უფლებები.

11. რსფსრ-ის მთელს ტერიტორიაზე წესდება რსფსრ-ის რესპუბლიკური მოქალაქეობა. თითოეულ მოქალაქეს უნარჩუნდება სსრკ-ის მოქალაქეობა.

რსფსრ-ის მოქალაქეები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან რსფსრ-ის დაცვისა და მფარველობის ქვეშ.

12. რსფსრ უზრუნველყოფს რსფსრ-ის კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედი ყველა მოქალაქის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მასობრივი მოძრაობისა და რელიგიური ორგანიზაციის თანაბარ უფლებრივ შესაძლებლობებს, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეების მართვაში.

13. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლების გაყოფა რსფსრ-ის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

14. რსფსრ აცხადებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულებას და მზადყოფნას იცხოვროს ყველა ქვეყანასთან და ხალხთან მშვიდობასა და თანხმობაში, მიიღოს ყველა ზომა საერთაშორისო, რესპუბლიკათშორის და ეროვნებათშორის ურთიერთობაში კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად, დაიცვას რა ამასთან რუსეთის ხალხთა ინტერესები.

15. ეს დეკლარაცია წარმოადგენს რსფსრ-ის ახალი კონსტიტუციის შემუშავების, სამოკავშირო ხელშეკრულების დადებისა და რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფის საფუძველს.

**დეკლარაცია მიღებულია რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ 1990 წლის 12 ივნისს.**

(907 — მომხრე, 13 — წინააღმდეგი, 3 — თავი შეიკავა).

პასუხისმგებელი გამომცემლები: ნ. ბახტაძე, თ. ბეგიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ყორანაშვილი, ქ. ლარიბაშვილი, ი. მაჭავარიანი, მ. ქობულია, თ. ბეგიაშვილი, ნ. ბახტაძე.

რედკოლეგიის აზრი შესაძლოა არ ეთანხმებოდეს ავტორებისას.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭყვიავის ქ. № 2. ტელეფონები: 95-41-77, 95-76-70.

ფასი 40 კაპ.